საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი
ჯანსუღ ჩარკვიანი

ელადა

№23 (260)
დეკემბერი,
2013 წელი
გამოდის 2002
წლის დეკემბრიდან
Ελλάδα

საბერძნეთის ქართული დიასპორის გაზეთი

მე-14 საქველმოქმედო საშობაო გამოფენა-გაყიდვა ათენში

24

ემიგრანტი პოეტები

დოდო მორელაშვილი

მაია ღვალიშვილი

როზალია ლოხოვა

შორენა შენგელია

თინა ჯანიბეგაშვილი

5

გიორგი ებრალიძე – წარმატებული ახალგაზრდა ექიმ-ქირურგი ათენში

ჩემი ბერძენი მეგობრები

12

სალონიკში არსებული კომპანია „FOREVERLIVING" გიწვევთ გასაუბრებაზე და დასასაქმებლად. კომპანია ამჟამად მსოფლიოს 155 ქვეყანაში ფუნქციონირებს. დაახლოებით 4 თვეში გაიხსნება და ფუნქციონირებას დავიწყებთ საქართველოში. ათენში შეხვედრები დაიგეგმება დეკემბრის თვეში.

ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

6976725840--whats
6996737954--Q

6930143127--wind.
ნინო წოწკოლაური

არაფერი ხდება შემთხვევით...

ათენში ცხოვრობს სოხუმელი მწერალი შორენა შენგელია. მას კარგად იცნობს საბერძნეთის ქართული დიასპორა საზოგადოებრივი მოღვაწეობით, – 12 წლის წინ, ათენის ქართული ინსტიტუტთან ერთად დააფუძნა ბერძნულ-ქართული ორგანიზაცია „დიოსკურია“ – მშვიდობიანი დიალოგის აფხაზეთი. იცნობენ, როგორც ორი არაჩვეულებრივი წიგნის ავტორს, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრს, კეთილშობილ ადამიანს, ერთგულ მეგობარს და ჩვენი ქვეყნის ღირსეულ დესპანს, რომელსაც, სხვა ბევრი ცნობილი ქართველივით, ბედისწერასავით დაჰყვა სამშობლოს სიყვარული, მისთვის თავდადება და სიშორე.

შორენა შენგელია პროფესიით ინჟინერია, სრულიად ახალგაზრდა მუშაობდა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე და მისი სარისკო საქმიანობა ქვეყნისა და თავისი ხალხის საკეთილდღეოდ, აფხაზეთის ომის დროს, „ელადამ“ წარსულ წლებში დაბეჭდა. მან მეცნიერულ დონემდე აიყვანა თავისი მოსაზრებები, თუ რამ გამოიწვია ეს ძმათამკვლელი ომი და როგორ უნდა შევძლოთ ისევ ერთად, ერთ სახელმწიფოში ცხოვრება ქართველებმა და აფხაზებმა. ამ თემას მიუძღვნა ნაშრომი, რომელმაც ფართო საზოგადოების ინტერესი გამოიწვია.

შორენა შენგელიას ორჯერ მოუწია სამშობლოს დატოვება. პირველად თავისი მშობლიური და საყვარელი სოხუმი დატოვა (საკმაოდ გვიან და ჭუბერზე ფეხით გადმოსულმა), თან 10 წლის დისშვილი თეა წულაია მოჰყვდა. თბილისს მოაშურა, შემდეგ კი, თბილისიდან საბერძნეთში ჩამოვიდა, ათი ათასობით ქართველთან ერთად.

შორენას, როგორც თვითონ უყვარს თქმა, გაუმართლა, როცა ილიასკუების ცნობილ ოჯახში მოუწია მუშაობა. კეთილმა და ინტელექტუალურმა მოხუცებმა შვილივით მიიღეს

და 11 წლის მანძილზე ბევრი სითბო, სიკეთე, ყურადღება და მზრუნველობა მიანიჭეს. შორენამ მათ ხსოვნას წიგნი მიუძღვნა, სადაც მაღალმხატვრულად აღწერს ემიგრანტის ხვედრს უცხო ქვეყანაში, ილიასკუების დიდებული ოჯახის ცხოვრებასთან ჰარმონიაში.

ამ წიგნში შეტანილია, აგრეთვე, ემიგრაციის თემაზე შექმნილი მოთხრობა „მარტოსულები“, აგრეთვე პუბლიცისტური წერილები და მისი სულის შუქი – უნაზესი ლექსები...

„ელგუჯა“ და „მაგნოლია“ ამ წიგნიდანაა.

ელგუჯა

ქართული ზღაპრის არ იყოს, იყო და არა იყო რა, იყო ერთი კარგი კაცი, ელგუჯა, რომელმაც იარა, იარა, ცხრა მთა გადაიარა, ვის არ შეხვდა, რა არ ნახა და მიადგა ღვთის მიერ კურთხეულ ქვეყანას – საბერძნეთს, კერძოდ, ქალაქ ათენს.

ალბათ საბერძნეთში მისი მოხვედრა და აქ ცხოვრება ღმერთის სურვილი და დაკალება იყო. ელგუჯა ერის პიროვნება, რომელიც ათენში მცხოვრებ, საქართველოდან წამოსულ ქართველებს ძალიან გვჭირდებოდა, აქ უამრავი მშრომელი, უამრავი გზასაცდენილი, უამრავი გაუბედურებული და საკმაოდ ბევრი საქმიანი და სახელოვანი ქართველია. ელგუჯა ყველას შეგობარია და მათ შორის, ჩემიც.

ის ყველას გვპატრონობს, რწმენისკენ გვიხმობს, რომ უფრო კარგები გავხდეთ, რასაც რაღაც განსაკუთრებული ძალით ახერხებს, არ შეიძლება, მის მიერ დათესილ სიყვარულს არ გაჰყვე და არ ეთაყვანო, მისგან მეგობრობა და თანადგომა არ ისწავლო, მის დიდ რწმენას არ ერწმუნო და მაინც, ვისაც უჭირს, ყველაზე ახლობელი სწორედ მისი ხდება და დიდ მზრუნველობასაც იჩენს, არა მარტო ქართველების მიმართ. ყველა ეროვნების ნათესავები ჰყავს, რომელთაც რწმენისაკენ აბრუნებს, ღვთის პატივისცემას ასწავლის. საქართველოდან წლების წინ წამოსულს საქართველოს ბედი აწუხებს. 9 აპრილის და საქართველოში დატრიალებული მრავალი უბედურების მოგონებებით ცხოვრობს და სწორედ ამიტომაა იგი ბევრის მეგობარი, რადგანაც ყველას სატკივარი სტკივა.

სისტემატურად ცდილობს, ხმა მიაწვდინოს ქართველებს, სწავლობს და გვასწავლის მართლმადიდებლობის, ჭეშმარიტი ქრისტიანობის, ჩვენი მამაპაპისეული საწყისის საკითხებს.

ელგუჯას ხელით ხეში გაკეთებული ღვთისმშობელი

ძალზე მძიმე პირობებში ახერხებდა მასალების თარგმნას, მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველი მართლმადიდებლებისათვის მიეწოდებინა სწორი ინფორმაცია საბერძნეთში და საერთოდ, მთელ მსოფლიოში მიმდინარე საეკლესიო პროცესებზე ძველსა და ახალ მესტილეებს შორის.

მის ასეთ კეთილშობილურ და ნამდვილ მართლმადიდებულრ საქმიანობასთან ერთად, იგი დიდი ხელოვანია, რომელიც რწმენას ემსახურება და თავს ხელოვანთ არ აკუთვნებს, ალბათ ესეც მისი ბუნება და თავმდაბლობაა.

ელგუჯა მაღულარია დაულალავი შრომით მონასტრის კედლებში ქმნის ამ მართლაცდა საოცარ შედევრებს, იგი ხეზე ჭრის, საოცარი სინატფიფითა და სიზუსტით, ჩვენი წმინდანების გამოსახულებებს. ბიზანტიურ სტილში მუშაობს, მართლმადიდებლური კანონების სრული დაცვით. არ შეიძლება ელგუჯას მიერ დამზადებულ ღვთისმშობლის ხატს უყურო და შენში რნწმენა არ ჩაიღვაროს, მის მიერ გაკეთებულ ბერის სკულპტურას უცქირო და სურვილი არ გაგიჩნდეს, მის ნატიფ, გამოკვეთილ ხელებს ემთხვიო.

ელგუჯას მიერ დამზადებული ჯვარცმა, მართლაც, მისი ნამუშევრების დაგვირგვინებაა, ქრისტეს გამოსახულებაში გადმოცემული რწმენა. მუხლებზე დაცემის და ლოცვის სურვილი გიჩნდება ამ მართლაცდა სასწაულმოქმედი ნამუშევრის მიმართ, რომლის ყურება ცრემლებს გგვრის. თითოეული ნაწილის ტკივილს შეიგრძნობ. სისხლი, რომელიც ქრისტეს სდის, ისეთი სინატიფითაა გადმოღვრილი, რომ მის სითბოსაც გრძნობ. ელგუჯას მიერ დამზადებულ ამ ხელოვნების ნიმუშებს მართლაცდა განსაკუთრებული სასწაულმოქმედი ძალა გააჩნია, სწორედ ამიტომ გვიყვარს და გვჭირდება ელგუჯა.

და მადლობა ღმერთს, რომ იგი ჩვენთან ერთადაა და ჩვენც ისევე ვუყვარვართ, როგორც ჩვენ გვიყვარს იგი.

* * *

მარტოდ მყოფი, სიყვარულის ზღვაში ცურავ,
სითბოს აფრქვევ, რწმენას ნერგავ,
სულს უბერავ მტკივან გულებს თანაგრძნობით,
შენც ხომ გტკივა?
შენს ჭრილობას ხომ სჭირდება განკურნება?
გზა ირჩიე ამისათვის შენთვის სწორი,
რწმენით სავსე
გამოთალე ამ ცხოვრების საიდუმლო გასაღები,
ასე გახდი ყველასათვის საიმედო-დასაყრდენი.

ათენი. 2011 წელი

მაგნოლია

არ ვიცი, მაგნოლია ვის უფრო ადრე ჰქონდათ, ჩვენ თუ ბერძნებს. ის კი ფაქტია, რომ სოხუმში მაგნოლია სულ სხვანაირი იყო, უფრო ფრთაგაშლილი, უფრო დიდი, უფრო ლამაზი, სურნელოვანი ყვავილებით, გიგანტური ხის ასოციაციას იწვევდა.

ახალ სამსახურში მისულს კარგი ადამიანები, თბილი ღიმილი და მაგნოლია შემომეგება. მაგნოლია, რომელთანაც ასოცირდებოდა ჩემი ცხოვრების ულამაზესი წლები, გატარებული ჩემს ულამაზეს ქალაქ სოხუმში, რომელსაც მეტსახელად მაგნოლიების და ოლეანდრების ქალაქსაც უწოდებდნენ.

მაგნოლია მართლაც მშვენიერი, ლამაზი და სურნელოვანია, რომელიც ირგვლივ სურნელებას აფრქვევს. საითაც არ უნდა წახვიდე, თავს გახსენებს და თავბრუს გახვევს. ასე მგონია, ამ ახალ ოჯახში ეს მაგნოლია მასპინძლად გასამხნევებლად დამხვდა, ნათესაად და ახლობლად მომეელინა.

არაფერი არ ხდება შემთხვევით და ესაც არ იყო შემთხვევითი. მე და მაგნოლია დავმეგობრდით. პირველ წელს ჩემი აქ მუშაობისას მის მიერ ჩამოყრილ ფოთლებს ისე ვეფერებოდი, თითქოს ახლობელი ყოფილიყოს, ვაგროვებდი კიდეც, გადასაყრელად მენანებოდა. მისი ღონიერი ფოთლები, გამხმარიც განსაკუთრებულად ლამაზი იყო, საოცარი ფერისანი ხდებოდნენ. ბავშვობაში მისი ფოთლებით გვირგვინებს ვიკეთებდი, ახლაც მომინდა მათი გაკეთება, მაგრამ რისთვის?..

ასე ვმეგობრობდით მე და მაგნოლია. მერე უკეთესი მეგობრები გავიჩინე და მაგნოლია დამრჩა ნათესავად ამ კარგ ოჯახში.

2008 წელი